ოქმი №12

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი ბიუროს

სხდომისა

აბაშა, 2025 წლის 11 აპრილი

ოქმი №12

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისა

აბაშა, 2025 წლის 11 აპრილი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა გ. ხოშტარია.
სხდომას ესწრებოდნენ:
ბიუროს წევრები: ზ. მაკალათია, დ. გუნია, დ. ცანავა, გ. მიგინეიშვილი, კ. კუჭუხიძე, ტ. ხოშტარია, გ. კუცია და რ. კაჭარავა.
საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი გ. ხურცილავა, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის – საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი თ. შოთაძე და საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. დ. ცანავა

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

   მომხს. გ. ხოშტარია

მოისმინეს:

„აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ ბიუროს წევრებს გააცნო „აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – „აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი ქ. ცომაია.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. გ. ხოშტარია

მომხსენებელმა, საკრებულოს თავმჯდომარე გ. ხოშტარიამ წამოაყენა წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა მოწვეულ იქნეს 2025 წლის 14 აპრილს დილის 10 საათზე, დღის წესრიგით:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 14 აპრილის მორიგი №6 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. გ. ხოშტარია

2. „აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ქ. ცომაია

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: გ. ხოშტარია